განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილები (№1324-რს 13.10.2017წ.). **აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია** „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაი მოყვანა საქართველოს კონსტიტუციასთან.

ამასთან, კანონპროექტის მიხედვით კანონში აღმოიფხვრება სხვადასხვა ხარვეზები.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს, „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის **შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს კონსტიტუციასთან.**

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებიდან (№1324-რს 13.10.2017წ.) **გამომდინარე ტერმინი „სამხედრო ძალები“ შეიცვალა ტერმინით „თავდაცვის ძალები“, ხოლო ტერმინი** „საქართველოს შეიარაღებული ძალების **გენერალური შტაბის უფროსი“ ტერმინით „საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური“. ასევე შეიცვალა საომარი და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების მექანიზმები.**

აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია „საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის **სათანადო ნორმებში შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი საქართველოს კონსტიტუციასთან.**

გარდა ზემოაღნიშნულისა:

მკაფიოდ ჩამოყალიბდა თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების მოწყობის ორგანიზაციული საკითხები.

აქამდე საკანონდებლო დონეზე არ ყოფილა მოწესრიგებული შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლის ერთ ერთი მნინელოვანი ფაქტორი, რომელიც შეეხება სამინისტროს სამოქალაქო ხელმძღვანელობას. პროექტის მიხედვით, მინისტრი და მისი მოადგილეები არ არიან სამხედრო მოსამსახურეები. მინისტრი სამინისტროს სამოქალაქო ოფისის მეშვეობით, ახორციელებს სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვასა და მის წარმართვას, აგრეთვე დემოკრატიულ კონტროლს თავდაცვის ძალებზე.

პროექტით განისაზღვრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სტრუქტურა. კერძოდ,

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები, ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე ერთიანდებიან სამინისტროს სამოქალაქო ოფისში ან საქართველოს თავდაცვის ძალებში. სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები, დამოუკიდებლად, შევლენ თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში.

კონსტიტუციის მიხედვით, თავდაცვის ძალების სახეობა და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. შესაბამისად, ახლებურად განისაზღვრა თავდაცვის ძალების სტატუსი, სახეობა, შემადგენლობა და სტრუქტურული მოწყობა.

პროექტის მიხედვით, თავდაცვის ძალების სახეობა იქნება - სახმელეთო, საჰაერო, ეროვნული გვარდია და სპეციალური ოპერაციების ძალები.

.

რაც შეეხება შემადგენლობას კონკრეტულად განისაზღვრა თავდაცვის ძალების შემადგენლობა. კერძოდ, გაკეთდა თავდაცვის სამინისტროს იმ სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი, რომლებიც შევლენ საქართველოს თავდაცვის ძალებში. საკანონმდებლო დონეზე აქამდე ეს საკითხი მოწესრიგებული არ ყოფილა.

განისაზღვრა აგრეთვე იმ სამთავრობო დაწესებულებების/სტრუქტურების/ქვედანაყოფების ჩამონათვალი, რომლებიც საომარი მდგომრეობის დროს შემოვლენ საქართველოს თავდაცვის ძალებში.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი არის თავდაცვის სამინისტროს სტრუქტუტული ქვედანაყოფი, რომელიც თავის მხრივ შედგება სტრურუქტული ქვედანაყოფებისაგან, ეს გარკვეულწილად უმცირებდა სტატუსს გენერალური შტაბის ქვედანაყოფებს. გენერალურ შტაბს ხელმძღვანელობს გენერალური შტაბის უფროსი. ამასთან, სახმელეთო ძალების ქვედანაყოფები არ შედიან გენერალური შტაბის სტრუქტურაში, თუმცა ბუნებრივია მათ მართავს გენერალური შტაბის უფროსი. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, გენერალური შტაბი იქნება სამინისტროს გარკვეული ქვედანაყოფების, კერძოდ J-1-J7 დეპარტემენტების მართვის ორგანო. რაც შეეხება თავდაცვის ძალებს მას უხელმძღვამნელებს თავდაცვის ძალების მეთაური. თავდაცვის ძალებში გაერთიანდება ყველა ის ქვედანაყოფი რომელიც გასამხეროვებული იქნება თავდაცვის სამინისტროში. თავდაცვის ძალების მეთაურის ერთ-ერთი მოადგილე შესაძლებელია იმავდროულად იყოს გენერალური შტაბის უფროსი.
ცალცალკე გაიწერა სამოქალაქო ოფისის და თავდაცვის ძალების ფუნქციები.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოდგენს ის, რომ საკანონმდებლო დონეზე მოხდა საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის ფუნქციების გაწერა.

კანონიდან ამოღებული იქნა ის ნორმები რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას ან/და შეიცავდა ხარვეზს.

კერძოდ, ამოღებული იქნა:

1. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ვინაიდან, საკითხებს რომლებიც უნდა დარეგულირდეს ამ დოკუმენტებით „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დარეგულირდება შემდეგი დოკუმენტებით (მუხლი 15 პუნქტი 1)

ა) ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;

ბ) საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი;
გ) უსაფრთხოების სფეროში ეროვნული სტრატეგიები.

2. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის:

„ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით თავდაცვის ძალების შემადგენლობა განისაზღვრება კანონით, ამასთან „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამხედრო წესდებებს ამტკიცებს მთავრობა. რაც შეეხება დროშებისა და ალმების დამტკიცების უფლებამოსილებას, აღნიშნული ფუნქცია განესაზღვრება თავდაცვის მინისტრს, რაც ასევე თანხვედრაშია სახელმწიფო სიმბოლიკის ახალ საკანონმდებლო პაკეტთან. ასევე პრეზიდენტს კონსტიტუციით აღარ აქვს ასეთი უფლებამოსილება.

„ლ“, „მ“, „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტები ვინაიდან, კონსტიტუცია ასეთი უფლებამოსილებების განხორციელების მექანიზმებს აღარ ითვალისწინებს.

შესაბამისად:

„ლ“ ქვეპუქნქტით გათვალისწინებული ნორმა (ამტკიცებს საქართველოს სამხედრო ძალების დისლოკაციის და სამხედრო ობიექტების განლაგების გეგმებს;) არის ასახული თავდაცვის მინისტრის ფუნქციებში, ხოლო „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმა საქართველოს მთავრობის კომპეტენციაში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გაღებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელების შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი სესიაშვილი, კობა კობალაძე, კობა ნარჩემაშვილი, პაატა მხეიძე და გია ბენაშვილი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი სესიაშვილი, კობა კობალაძე, კობა ნარჩემაშვილი, პაატა მხეიძე და გია ბენაშვილი.